

ინფორმაცია მონაცემების დამუშავების შესახებ

„პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ადგილობრივი რეესტრი (IDR)“

პირადი მონაცემების დაცვის გენერალური დებულების (DSGVO) მე-13 დ მე-14
მუხლების თანახმად

მაკონტროლებლის დასახელება და საკონტაქტო რეკვიზიტები:

Bundesamt für Fremdenwesen und Asyl (იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისი)
Modecenterstraße 22, 1030 Wien
ტელეფონი: +43- 59 133 98 7004
ფაქსი: +43- 59 133 98 7399
ელ-ფოსტა: BFA-Einlaufstelle@bmi.gv.at

მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო რეკვიზიტები:

ტელეფონი: +43- 59 133 98 0
ელ-ფოსტა: BFA-Datenschutzbeauftragter@bmi.gv.at

დამუშავების მიზნები, რომლისთვისაც გამიზნულია პირადი მონაცემები:

პირ. მოწმ. ბარათების გაცემისათვის აუცილებელი ადგილობრივი დოკუმენტები, ასევე,
პირ. მოწმ. ბარათის მონაცემების აღრიცხვა

დამუშავების სამართლებრივი საფუძველი:

„პასპორტების შესახებ“ კანონის მე-3, მე-16 და 22ა მუხლები, ფედერალური
საკანონმდებლო მაცნე N 839/1992 შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, ასევე,
„პასპორტების შესახებ კანონის აღსრულების დებულება“ (PassG-DV), ფედერალური
საკანონმდებლო მაცნე II N 223/2006 შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით,
„პასპორტების შესახებ“ განკარგულება (PassV), ფედერალური საკანონმდებლო მაცნე N
861/1995 შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, „ელ-მთავრობის შესახებ“ კანონი (E-
GovG), ფედერალური საკანონმდებლო მაცნე I N 10/2004 შეტანილი შესწორებების
გათვალისწინებით, „წყარო PIN რეესტრის შესახებ“ რეგულაცია (StZReg), ფედერალური
საკანონმდებლო მაცნე II N 57/2005 შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით

ვადა, რომლის განმავლობაშიც დაცული იქნება პირადი მონაცემები:

წარმოებასთან დაკავშირებული მონაცემები წაიშლება მათი საჭიროების დასრულების
თანავე, თუმცა, არა უგვიანეს 10 წლისა პასპორტის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების
შემდეგ. წარმოდგენილ მოწმობებში მოცემული მონაცემები წაიშლება ერთ წელიწადში
პირადობის მოწმობის გაუქმების შემდეგ, პასპორტების შემთხვევაში კი - არა უგვიანეს 6
წლისა პასპორტის ქმედითობის ამოწურვის შემდეგ. მიმართვისას წარდგენილი
მონაცემები წაიშლება მასზე უარის განცხადების ან სამართლებრივად სავალდებულო
უარის თქმის შემთხვევაში, ხოლო მიმდინარე წარმოების ანოტაციები - ხსენებული
წარმოების სამართლებრივად სავალდებულო დასრულების შემდეგ. საპასპორტო და

პირადობის მოწმობის მონაცემები წაიშლება ერთ წელიწადში გაუქმების შემდეგ, თუმცა, არა უგვიანეს 6 წლისა ქმედითობის ბოლო ვადის ამოწურვის შემდეგ. დაკარგული ან გასხვისებული პასპორტების მონაცემები წაიშლება 6 წელიწადში მათი ქმედითობის ბოლო ვადის ამოწურვის შემდეგ; დაკარგული ან გასხვისებული პასპორტის შემცვლელი დოკუმენტების მონაცემები წაიშლება ერთ წელიწადში მათი ქმედითობის ვადის ამოწურვის შემდეგ. „პასპორტების შესახებ“ კანონის 22ა მუხლის 1-ლი ნაწილის (ლ) პუნქტით განსაზღვრული მონაცემები უნდა წაიშალოს არა უგვიანეს ორი თვისა მას შემდეგ, რაც გაიგზავნება აღნიშნული დოკუმენტი („პასპორტების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი) და არა უგვიანეს ოთხი თვისა გაგზავნის შემდეგ ევროპის ფედერალური სამინისტროს და ინტეგრაციის და საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს მონაწილეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმართვის სამართლებრივად სავალდებულო უარის თქმის ან გაუქმების შემდეგ.

პირადი მონაცემების მიმღებთა კატეგორიები:

სხვა კომპეტენტური ადგილობრივი საპასპორტო უწყებები; უშიშროების სააგენტოები; წყარო PIN რეესტრის ორგანიზაცია „ელ-მთავრობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში

დამმუშავებლები: IBM Österreich - Internationale Büromaschinen Gesellschaft m.b.H.; Microsoft Österreich GmbH; Bundesrechenzentrum GmbH.; Österreichische Staatsdruckerei GmbH

მონაცემთა სუბიექტის უფლებები:

პირად მონაცემთა დაცვის ავსტრიულ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება (1030 Wien, Barichgasse 40-42, ტელეფონი +43 1 52 152-0, ელ-ფოსტა dsb@dsb.gv.at) ქმედითია „მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად (DSG).

წვდომის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-15 მუხლში.

შესწორების შეტანის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-16 მუხლში.

განადგურების უფლება („დავიწყების უფლება“) განსაზღვრულია DSGVO მე-17 მუხლში.

ქმედითი არაა არც DSGVO 21-ე მუხლით გათვალისწინებული პროტესტის რაიმე უფლება და არც DSGVO მე-18 მუხლით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების შეზღუდვის რომელიმე უფლება.